პროცედურა	აბრევიატურა	საფუძვლები	მოითხოვება თუ არა ელექტრონული შესყიდვა
გამარტივებული შესყიდვა (პირდაპირი შესყიდვა)	CMR	შესყიდვა ერთგვაროვან საქონელსა და მომსახურებაზე 10 000 ლარამდე; სამშენებლო სამუშაოებზე 20 000 ლარამდე; კანონით ნებადართულ განსაკუთრებულ შემთხვევებში	არა. 2012 წლის მარტიდან.
ელექტრონული ტენდერი: ღია ტენდერი			
ელექტრონული ტენდერი რევერსული აუქციონით	SPA	მუშაობს ეგრეთ წოდებული 3-ეტაპიანი რევერსული აუქციონის (Reverse e-Auction) პრინციპით. ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა: 150,000 ლარამდე (მინ.ვადა 7 კალენდარული დღე) ან/და 150,000 ლარზე და მეტი (მინ.ვადა 10 კალენდარული დღე) საქონლისა და მომსახურების შესყიდვისას; 300,000 ლარამდე (მინ.ვადა 10 კალენდარული დღე) ან/და 300,000 ლარი და მეტი (მინ. ვადა 20 კალენდარული დღე) სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას	კი. 2010 წლის დეკემბრიდან.
ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (ვაჭრობა დაფარული მონაცემებით)	NAT	ტენდერის ტიპი, რომელიც მუშაობს როგორც ეგრეთ წოდებული "დალუქული კონვერტის პრინციპზე". ყველა პროცედურა იგივეა, როგორც ელექტრონულ რევერსულ აუქციონში (SPA), თუმცა სამი დამატებითი რაუნდის მაგივრად, ეკონომიკური ოპერატორების მიერ წინადადების წარდგენა ხდება მხოლოდ ერთხელ. საუკეთესო შეთავაზების გარდა, ყველა წინადადება რჩება დალუქული მანამ, სანამ ტენდერს მიენიჭება საბოლოო სტატუსი (გარდა სტატუსისა "ტენდერი შეწყვეტილია").	კი. 2016 წლის პირველი ივლისიდან.
კონსოლიდირებული ტენდერი	CON	ზოგიერთი ერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტის (საქონელი და მომსახურეობა) შესყიდვა აგრეგირებული მოთხოვნის საფუძველზე: მაგ. საწვავი, კომპიუტერები, A4 ფორმატის ქაღალდი, სატელეფონო (მობილური) კომუნიკაციის სერვისი, საბურავები, სატელემაუწყებლო მომსახურებები, უწყვეტი კვების წყარო (UPS), პრინტერები/კარტრიჯები, წამლები, ავეჯი, ავტომობილები, საბურავები, ზეთები, აკუმულატორები და ა.შ.	კი. 2012 წლის დეკემბრიდან.

კონკურსი	**CNT**	**დიზაინთან დაკავშირებით ობიექტების/პროექტების შესყიდვა შემსყიდველი ორგანიზაციების გადაწყვეტილებით - ისეთები, როგორიც არის არქიტექტურული, ინჟინრული დაგეგმარების, დიზაინერული პროექტები და სხვ.**	**კი. 2015 წლის პირველი ივნისიდან.**
ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერი	**MEP**	**საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა ფასზე და სხვა თვლად კრიტერიუმებზე დაყრდნობით. საუკეთესო კანდიდატის გამოვლენა ხდება ფასი/ხარისხის თანაფარდობით, რომელიც ითვლება სისტემაში ჩაშენებული უნიკალური ალგორითმის მეშვეობით, ე.წ. MEAT მეთოდით.**	**კი. 2016 წლის პირველი ივლისიდან.**
შესყიდვის განსხვავებული პროცედურა სამშენებლო სამუშაოებზე	**DAP**	**პროცედურა მიმდინარეობს ე.წ. პრეკვალიფიკაციის გზით. პრეტენდენტები წარმოადგენენ სატენდერო წინადადებებს, საკვალიფიკაციო დოკუმენტებს და ხარჯთაღრიცხვას. მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაცია შეაფასებს ყველა პრედენტენტს, სატენდერო პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, იგი ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტს, დადგენილი წესით, მოიწვევს ხელშეკრულების გაფორმების მიზნით.**	**კი. 2016 წლის პირველი დეკემბრიდან.**
ელექტრონული ტენდერი პრეკვალიფიკაციით	**TEP**	**ელექტრონული ტენდერი პრეკვალიფიკაციით, რევერსული აუქციონის გზით. მას შემდეგ, რაც პრეტენდენტები წარმოადგენენ სატენდერო წინადადებებს და საკვალიფიკაციო დოკუმენტებს (საფინანსო წინადადების გარეშე), შემსყიდველი ორგანიზაცია აფასებს მიმწოდებლების დოკუმენტაციას, ხოლო მათი დაკმაყოფილების შემთხვევაში, პრეკვალიფიკაციის შემდგომ, მომდევნო ეტაპზე იმართება რევერსული აუქციონი უკვე საფინანსო წინადადებების შესაფასებლად, ხოლო გამარჯვებული გამოვლინდება ყველაზე დაბალი ფასის მიხედვით.**	**კი. 2017 წლის სექტემბრიდან. აღნიშნული პროცედურა ვრცელდება შესყიდვის ყველა ობიექტზე (საქონელი, სამშენებლო სამუშაოები, მომსახურება).**

eProcurement სისტემაში ჩაშენებული სხვა შესყიდვის საშუალებები			
შესყიდვის სპეციალური ელექტრონული პროცედურა	GEO	ზოგიერთი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა მთავრობის მიერ დადგენილი სპეციალური წესით, რომლის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 წელს; გამოიყენება ასევე საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას (რეგლამენტირებულია საქართველოს მთავრობის სპეციალური დადგენილებით)	
შესყიდვის ელექტრონული პროცედურა დონორის სახსრებით	DEP	2014 წელს შეიქმნა ახალი პროცედურა - შესყიდვა დონორის სახსრებით (მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო, იაპონიის საერთაშორისო თანამშროლობის სააგენტო და სხვა).	
საგრანტო კონკურსი	GRA	2018 წლის ივლისიდან შეიქმნა ახალი პროცედურა, რომელიც გამოიყენება სახელმწიფო უწყებების/ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსების ჩასატარებლად	
კერძო შესყიდვა	B2B	კერძო შემსყიდველის (ნებისმიერი ეკონომიკური ოპერატორის) მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ნებაყოფლობით ტენდერის გამოცხადება საქონელზე, მომსახურებაზე და სამშენებლო სამუშაოებზე	
საჯარო-კერძო თანამშრომლობა/კონცესია	ppp	2018 წლის მაისიდან შეიქმნა ახალი პროცედურა - საჯარო და კერძო თანამშრომლობა, რომლის დროსაც არაკონცესიური საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე კონტრაქტორი მის მიერ საჯარო მომსახურების გაწევის ან/და საჯარო ინფრასტრუქტურის მიწოდების სანაცვლოდ, ანაზღაურებას იღებს საჯარო პარტნიორისგან	